ბრძანება: **ბ15. 15242143**
თარიღი: **01/08/2024**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სტაჟირების მსურველი პირის შეფასების კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესი“-ს მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სტაჟირების მსურველი პირის შეფასების კომისია (შემდგომში - „კომისია“) შემდეგი შემადგენლობით:

1.1. კომისიის მუდმივმოქმედი წევრები:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე; ბ)

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი;

დ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;

ე) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

2. განისაზღვროს კომისიის საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგი წესი:

ა) კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი;

ბ) კომისია, როგორც წესი, გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე;

გ) კომისია უფლებამოსილია, გადაწყვეტილება მიიღოს კენჭისყრის საფუძველზე; ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა;

დ) კომისია აფასებს სტაჟირების მსურველი პირის შესაბამისობას დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;

ე) კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი, თანმიმდევრულად და თანაბრად გამოყენებული ყველა კანდიდატისადმი;

ვ) კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება ეფუძნება გასაუბრების შედეგებს;

ზ) კომისია უფლებამოსილია, კანდიდატის შეფასება განახორციელოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით;

თ) კომისიის მიერ კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგი აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი;

ი) კომისია თავის საქმიანობაში, გარდა ამ პუნქტით განსაზღვრული რეგულაციებისა, ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესი“-თ.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულ ია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი